# საქონლის/მომსახურების შესყიდვის ტენდერი

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებაზე:

| N | დასახელება | აღწერა | ყოველთვიური საფასური |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება | ბანკის საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა, შეკეთება ან/და შეცვლა, არსებული ტექნიკის სრული ჩამონათვალი და აღწერილობა განსაზღვრულია დანართით N1 | |

**დამატებითი მოთხოვნები:**

მომწოდებელმა უნდა მიუთითოს მომსახურების ყოველთვიური, ფიქსირებული საფასური და აღნიშნული მომსახურება მოიცავს:

- ბანკში არსებული, ძველი და ახალი HP, CISCO, APC-ის კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა, შეკეთება ან/და შეცვლა, ბანკთან შეთანხმებულ ვადებში და პირობებით;
- HP, CISCO, APC-ის სერთიფიცირებული ინჟინერის მომსახურება ბანკის მიერ მითითებულ მისამართზე;
- მომწოდებელმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ მომსახურების შედეგად მიღებული პროდუქტი იქნება ვარგისი მინ. 3 თვის განმავლობაში;
- სათადარიგო ნაწილების შეცვლის შემთხვევაში, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ქარხნული დეტალები და ნაწილების განფასება უნდა იქნას მოწოდებული წინასწარ.
- შეთავაზებისთვის საჭირო დამატებით ინფორმაციაზე დაუკავშირდით 599 611 222 სალომე ყუფარაძეს;

**სხვა პირობები:**

- შემოთვაზებული ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით;
- ფასები უნდა მიეთითოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი;
- მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნასყიდობის საგნის მიწოდება ბანკის მიერ მითითებულ მისამართზე;
- გამარჯვებულ კომპანიასთნ გაფორმდება გენერალური ხელშკრულება;
- მონაწილე კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი **(MAF);**

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- დეტალური შეთავაზება: სატენდერო წინადადების ფასი, მიწოდების ვადები და ა.შ;
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის მოკლედ აღწერილობა (გამოცდილება, კლიენტების სია), რეკომენდაციები;
- კომპანიის სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინჟინრების სეთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**დამატებითი ინფორმაცია:**

- ტენდერის ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 ნოემბიდან 2018 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით;
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მომწოდებელი იყოს რეგისტრირებული შემდეგ მისამართზე www.tenders.bog.ge;
- მომწოდებელმა პროდუქტი N1-ის გასწვრივ უნდა მიუთითოს მომსახურების ყოველთვიური საფასური;
- პრეტენდენტის მიერ ასატვირთი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- შემოთავაზებები მომწოდებლისათვის გახდება ანონიმური ტენდერის დასრულებამდე 3 საათით ადრე.